სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა

ლალი ზეინკლიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

ბიზნესის წარმატებისთვის საკმარისი არაა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების წარმოება, სამუშაო ადგილების შექმნა, კაპიტალის დაგროვება, გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდა და ა.შ. ბიზნესი ესაა ადამიანთა საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწევიან, როგორც სარგებლის ზრდის, ისე საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით. გაუმართლებელია მისი განხილვა მხოლოდ ინდივიდთა ინტერესების თვალსაზრისით, რადგან ასეთი საქმიანობა ეწინააღმდეგება ბიზნესის განვითარების ლოგიკას და ადამიანის ბუნებას. აღნიშნულს ხაზს უსვამს ავტომობილმშენებელობის ერთერთი პიონერი, მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი მეწარმე და გამომგონებელი - *ჰენრი ფორდი: „საქმის კეთება წმინდა გამორჩენის საფუძველზე - რისკიანი წამოწყებაა... საჭიროა ვაწარმოოთ, პირველ ყოვლისა, მომხარებლისთვის* და *არა გამორჩენისა და სპეკულაციისთვის. ასეთი წარმოების მთავარი პირობაა, ნაწარმი იყოს კარგი ხარისხის* და *იაფი. იგი უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის* და *არა მარტო მწარმოებლის კეთილდღეობას.*" ამრიგად, სოციალური ორიენტაციის გარეშე გრძელვადიანი ბიზნესის არსებობა ძნელად წარმოსადგენია.[1]

თავის მხრივ, საზოგადოება უფლებამოსილია, ბიზნესისგან მოითხოვოს სოციალური პასუხისმგებლობის გარკვეული დონე ისეთ საკითხებში, როგორებიცაა გარემოს დაცვა, ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების მხარდაჭერა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ. მაგრამ ბიზნესის ტექნიკური, ფინანსური და სხვა შესაძლებლობები ამ მხრივ შეუზღუდავი არ არის. ამა თუ იმ კორპორაციის, ან მთლიანობაში ბიზნესის შესაძლებლობების შეფასებისას არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ნებისმიერი საქმიანი საწარმოს სიცოცხლისუნარიანობისა და არსებობის მთავარი პირობაა მისი ეკონომიკური რენტაბელობა. ბიზნეს-ობიექტის სოციალური როლის შეფასებაში მთავარი სირთულე არის ის, რომ არ არსებობს მკაფიოდ შემუშავებული კრიტერიუმები.[2]

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის უამრავი განმარტება არსებობს, მათ შორის ყველაზე ზოგადია - ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის მისი ზეგავლენა საზოგადოებაზე. ორგანიზაციები, რომლებიც ოპერირებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, განსხვავებულად განმარტავენ ამ ცნებას. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ:

საერთაშორისო ორგანიზაცია - „ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისათვის" ამ ტერმინს განმარტავს, როგორც კომერციული წარმატების მიღწევას ისეთი საშუალებებით, რომლებიც იცავენ ეთიკურ პრინციპებს და პატივისცემით ეპყრობიან საზოგადოებას და გარემოს.

„ბიზნეს-ლიდერების საერთაშორისო ფორუმი"-ს განმარტებით - ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაში იგულისხმება ბიზნესის ისე წარმართვა, რომელსაც სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის და დადებით გავლენას ახდენს ბიზნესის მდგრად განვითარებაზე.

„ბიზნესის მსოფლიო საბჭო მდგრადი განვითარებისთვის" სოციალურ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, როგორც ბიზნესის ვალდებულებას, რომ წვლილი შეიტანოს ეკონომიკურ განვითარებაში, მომსახურე პერსონალთან შრომით ურთიერთობებში, მათ ოჯახებთან, ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და მთლიანად საზოგადოებასთან მათი ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

„სისტემატური ბიზნეს-ტექნოლოგიების ცენტრი - „SATIO"-ის მიხედვით: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ნებაყოფლობითი წვლილი საზოგადოების განვითარებისთვის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროში, რაც უშუალოდაა დაკავშირებული კომპანიის ძირითად საქმიანობასთან და სცილდება კანონით დადგენილ ზღვარს.

აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ იურიდიული და სოციალური პასუხისმგებლობა. სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქვეშ იგულისხმება კონკრეტული კანონების და სახელმწიფოებრივი რეგულირების ნორმების დაცვა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა შეუ-

[1] *ფორდი ჰ.,* ჩემი ცხოვრება და ჩემი მიღწევები", თარგმ., თბ., 1988. გვ. 23.

[2] *შენგელია თ.,* „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები",თბ., 2008. გვ. 63-72.

ძლია, და რა არ შეუძლია გააკეთოს ორგანიზაციამ. თითოეულ საკითხთან მიმართებით, დადგენილია ასობით და ათასობით ნორმა და ნორმატივი. მაგალითად, თუ რამდენ ტოქსიკურ ნივთიერებას შეიცავს სამრეწველო ნარჩენები; როგორ გამოირიცხოს დისკრიმინაცია სამსახურში დაქირავებისას; როგორია მინიმალური მოთხოვნები პროდუქციის უსაფრთხოებისადმი; რა ტიპის საქონელი შეიძლება გაიყიდოს სხვა ქვეყნებში და ა.შ. ორგანიზაცია, რომელიც იცავს იმ კანონებსა და ნორმატივებს, იურიდიულად პასუხისმგებელია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი სოციალურადაც პასუხისმგებელია. სოციალური პასუხისმგებლობა, იურიდიულისგან განსხვავებით, გულისხმობს ორგანიზაციის მხრიდან სოციალურ პრობლემებზე ნებაყოფლობით გამოხმაურებას.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს შემდეგ ვალდებულებებს: გადასახადების, შრომის ანაზღაურების დროულ გადახდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ. მის მეორე ამოცანას წარმოადგენს დაქირავებული პერსონალის არა მხოლოდ მუშაობის, არამედ ცხოვრების ადეკვატური პირობებით უზრუნველყოფას. მაგალითად, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და სოციალური სფეროს განვითარება. პასუხისმგებლობის ასეთ ტიპს, პირობითად, კორპორაციულ პასუხისმგებლობას უწოდებენ. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის უმაღლესი დონე გულისხმობს საქველმოქმედო საქმიანობას.

ბიზნესის თეორიული და ზოგადი დახასიათება საკმარისი არაა ინვესტორთა, საზოგადოების და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთათვის.

მნიშვნელოვანია ბიზნეს-ობიექტის გადაწყვეტილებათა, ქცევებისა და მოქმედებათა კორექტულობა, რასაც თავისებური სპეციფიკა გააჩნია ყოველი ინდივიდისთვის. ეს ისეთი ქცევაა, რომელიც ეთანხმება საზოგადოდ მიღებულ სოციალურ ნორმებს.

ინდივიდის ქცევის ეთიკა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობით, რომლისთვისაც დამახასიათებელი ძირითადი ეთიკური პრინციპების ფორმირება იწყება ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში, ბავშვთა მიერ მშობლებისა და სხვა მოზრდილი ადამიანების ქცევათა აღქმის შედეგად, რაც შემდგომ უყალიბებს პიროვნებას ეთიკურ მრწამსს.

ნებისმიერ საზოგადოებაში, როგორც წესი, მიღებულია ფორმალური კანონები, რომლებიც ასახავენ ამ საზოგადოების წევრების ქცევის გაბატონებულ ეთიკურ ნორმებს. ასეთი კანონები უნდა იყოს ნათელი და არაორაზროვანი.[3] მაგალითად, ადამიანების უმეტესობა დარწმუნებულია დამქირავებელთა ქცევის არაეთიკურობაში, რომლებიც აიძულებენ ხელქვეითებს ზეგანაკვეთურ მუშაობას, განსაკუთრებით თუ ასეთი სამუშაო დამატებით იქნება ანაზღაურებული. ასეთი კანონების მიღებამ კორპორაციულ გარემოში, შეიძლება ორაზროვანი სიტუაციების წარმოშობა გამოიწვიოს. ერთმა და იმავე კანონებმა სხვადასხვა ქვეყნების კომპანიების ფუნქციონირებას შეიძლება დარტყმა მიაყენოს. მაგალითად, იაპონიაში წესჩვეულება მოითხოვს, რომ კომპანიის უმცროსმა თანამშრომელმა საკუთარი სამუშაო ადგილი არ უნდა დატოვოს უფროს კოლეგებზე ადრე, როცა აშშ-ში, როგორც წესი, სწორედ მმართველი ტოვებს ოფისს უკანასკნელი. ყოველივე განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციებით, იგი ხშირ შემთხვევაში ქცევის ფორმირების უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება, ვიდრე ფორმალური კანონი. ასე რომ, მზა რეცეპტი არ არსებობს, არსებობს საერთო წესი:

- ყოველი ინდივიდი თავის ქმედებებში ხელმძღვანელობს პირადი ფასეულობების საკუთარი სისტემით, რადგან ყოველ პიროვნებაში დევს გარკვეული ქმედებების პოტენციალი;
- ადამიანები, რომლებიც ერთსა და იმავე კულტურულ ჯგუფს განეკუთვნებიან, იყოფენ მსგავს, მაგრამ აუცილებლად არა იდენტურ ფასეულობებს ეთიკური და არაეთიკური ქცევების შესახებ;
- ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდისთვის დამახასიათებელია, რაციონალური ახსნა მოუძებნოს თავის ქცევას ჩამოყალიბებულ ნორმებთან შესაბამისობაში. მაგალითად, თუ ადამიანმა იპოვა ფული და თან იცის ვინ დაკარგა, ის სწრაფად დაუბრუნებს დანაკარგს მის მფლობელს. ხოლო თუ ნივთი ნაპოვნია ცარიელ ოთახში, ადამიანს შეუძლია თვითონ დაიტოვოს, რადგან მფლობელი ვერ წაუყენებს პრეტენზიას;
- ჩამოყალიბებული გარემოებების შესაბამისად. ინდივიდი შეიძლება გადაიხაროს საკუთარ ფასეულობათა სისტემიდან. მაგალითად, უმეტესს შემთხვევებში ქურდობა არაეთიკურ ქცევად მიიჩნევა, ამიტომ ადამიანი არ უნდა ქურდობდეს. მაგრამ თუ ადამიანი ნშიერია მან შეიძლება მოიპაროს საკვები, როგორც გადარჩენის უკანსკნელი საშუალება;
- ეროვნული კულტურა და ქვეყანაში მიღებული წეს-ჩვეულებები დიდ ზეგავლენას ახდენენ

[3] *ღურწკაია კ., ღურწკაია თ.*, „საერთაშორისო ბიზნესი", ლექციების კურსი, თბ., 2010. გვ. 73.

ეთიკურ ფასეულობებზე. ფასეულობა ეს არის, საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის ისტორიულად განპირობებული ჯანსაღი ტრადიციებითა და ზნეობრივი ნორმებით ჩამოყალიბებული აქტი.

კულტურა უშუალო ზეგავლენას ახდენს იმ ადამიანთა ფასეულობების სისტემაზე, რომელიც მოცემული კულტურული ჯგუფის შემადგენლობაში შედიან. ფასეულობები გარკვეულწილად გავლენას ახდენენ იმაზე, თუ ეს ადამიანები როგორ გებულობენ ეთიკურ თუ არაეთიკურ ქცევას. მაგალითად, იაპონიაში პიროვნების სტატუსი უმეტეს შემთხვევებში განისაზღვრება მისი ამა თუ იმ საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობით. მრავალეთნიკურ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, ტოლერანტობის პრინციპებიდან გამომდინარე საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ თითოეული ეთნიკური ჯგუფის ტრადიციები და ისეთ შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი კანონი, რომ იგი დამყარებული იქნეს ურთიერთპატივისცემაზე;

- განსხვავებულ კულტურათა წარმომადგენლები სხვადასხვანაირად აფასებენ ამა თუ იმ ქმედებათა ეთიკურობას თუ არაეთიკურობას; ის, რაც ერთ კულტურულ გარემოში არაეთიკურად ითვლება, სხვა კულტურულ გარემოში შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც ერთადერთი შესაძლო ქმედება. მაგალითად, ამერიკელ ბიზნესმენს შეუძლია შეატყობინოს პოლიციას საბაჟო ჩინოვნიკის ქმედების შესახებ, რომელმაც ქრთამის სახით საბაჟო კონტროლზე საქონელთა პარტიის დაუბრკოლებელი გასვლისთვის მოითხოვა გარკვეული ქრთამი, როცა კენიელი მეწარმე ასეთ სიტუაციაში გადაიხდიდა, მაშინაც კი თუ მისგან ამას არ მოითხოვდნენ. კულტურათა ასეთი განსხვავებების გამო მშობლიურ და სხვა ქვეყნებში, საერთაშორისო კომპანიათა მენეჯერები ხშირად ხვდებიან რთულ მდგომარეობაში.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ეთიკა არის ცნება, რომელიც თან სდევს ცალკეული ინდივიდების ქცევას. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბიზნეს-ობიექტისთვის დამახასიათებელია ქცევის ესა თუ ის ეთიკა; ურთიერთკავშირი კომპანიასა და მისი საქმიანობის ზნეობრივ ასპექტებს შორის ძირითადად სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციას ემყარება. ქცევის ეთიკური ასპექტების აღწერა კულტურულ და საერთაშორისო კონტექსტში ემყარება ანალიზს, თუ ბიზნეს-ობიექტი როგორ ეპყრობა თავის მომსახურე პერსონალს, როგორ იქცევიან თანამშრომელნი კომპანიასთან მიმართებით. ყურადღება ექცევა ასევე იმას, თუ ბიზნეს-ობიექტი და მისი პერსონალი როგორ ეპყრობიან სხვა ეკონომიკურ სუბიექტებს. ყველა აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება ასახულია სქემაზე:



ნახ. 1. ეთიკა კომპანიის კულტურულ კონტექსტში

მაშასადამე, ბიზნეს-ობიექტი გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ გარემოში ყალიბდება და ფუნქციონირებს. ბუნებრივია, მას არ შეუძლია იმ საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფა, რომლებსაც საკუთარ ინტერესებს უსაბამებს. მეტიც, კონკრეტული ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას საზოგადოების სტაბილურობა წარმოადგენს. ამდენად, ორივე მხარე შეიმუშავებს და ახორციელებს ქმედებებს, რომლებიც ამ სტაბილურობას უზრუნველყოფს. შედეგად, სოციალური გარემოს განვითარება და გაუმჯობესება ბიზნესისა და კორპორაციების გრძელვადიან ინტერესებს პასუხობს. სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენება ზრდის სამეწარმეო გარემოს სიცოცხლისუნარიანობას და ეფექტურობას. გრძელვადიან პერსპექტივაში კი იწვევს, როგორც აღნიშნული ბიზნეს-ობიექტის მიერ წარმოებული პროდუქციისადმი მომხმარებელთა ნდობის, ისე მისი სარგებლიანობისა და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობის ამ აღლებას.

SOCIAL RESPONSIBILITY AND ETHICS

LALI ZEINKLISHVILI - seeker of doctor's degree of GTU

In the article notes that business is a human activity they are engaged in, as the benefits of growth, in order to improve the quality of life and the community. As a result, the social orientation without long-term business is indispensable. Business - the social role of the main difficulty is that there are no developed criteria. The legal and social responsibilities are differed. Individual's behavior is determined by various factors of Ethics. Society, as a rule, adopted formal rules that reflect the prevailing ethical norms of conduct for members of this community. Such laws should be clear and unambiguous.

Business - an object of a certain socio - economic and political - cultural environment is formed and operational. Naturally, he cannot ignore the interests of the general public who have their own interests irrelevant. Moreover, a necessary condition for the stability of the effective functioning of the business. Thus, both sides work out and exercise activities, which will provide this stability. As a result, the long-term interests of businesses and corporations social development and environmental improvement.